



საქართველო

Deloitte Legal

10 მარტი 2020

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

კანონპროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

2020 წლის 19 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. ცვლილებები განპირობებულია საქართველოს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესრულებისთვის, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაბეგვრის სფეროში. ასოცირების შეთანხმებით საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება დაუახლოვოს საგადასახადო კანონმდებლობა 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივას დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ. კანონპროექტი აგრეთვე უზრუნველყოფს საგადასახადო კოდექსის ცალკეული დებულებების დაზუსტებასა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხო საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დღგ-ის მარეგულირებელ ყველა დებულებას, რის გამოც შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კარი VI სრულად ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით.

კანონპროექტი განსაზღვრავს დღგ-ით დაბეგვრის ზოგად პრინციპებს და განმარტავს გამოყენებულ ტერმინების მნიშვნელობას, დღგ-ის მიზნისთვის. მათ შორის, განიმარტა დასაბეგრი პირის, ფიქსირებული დაწესებულების, დამხმარე, უშუალოდ დაკავშირებული, უწყვეტი, რეგულარული და ელექტრონულად გაწეული მომსახურებების, ვაუჩერის, მცირე ღირებულების საჩუქრის, დასაბეგრი დილერის, უძრავი ქონების და სხვა არაერთი ტერმინის მნიშვნელობა.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონპროექტი

კანონპროექტი მიზნად ისახავს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ჩანაცვლებას. შეიცვლება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მთავარი პრინციპი - მოვალისა და კრედიტორის ინტერესთა თანაბარი დაცვის ნაცვლად, მიზნად გვევლინება კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხების განაწილების გზით. კანონპროექტის მე-11 მუხლი განსაზღვრავს ახალ ტერმინს - გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, რომელიც არის „შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, პროფესიული წრეების წარმომადგენელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კეთილსინდისიერი.“ მისი მონაწილეობა შესაბამის საქმის წარმოებაში სავალდებულოა.

ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი დეფინიცია, რომლის თანახმად, ეს არის „გადახდისუუნარო/მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფ მოვალესა და კრედიტორებს შორის ამ კანონით დადგენილი წესით მიღწეული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც თითოეული კრედიტორი მიიღებს მინიმუმ იმდენს, რასაც ის მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი ეთანხმება რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებას.“

კანონპროექტი აგრეთვე ახლებურად აწესრიგებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენის, მისი განხილვის, რეაბილიტაციისა თუ გაკოტრების რეჟიმის დაწყების, საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის ორგანიზებისა და სხვა საკითხებს.

მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილება „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

დადგენილება, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე, განსაზღვრავს საწარმოსა თუ ორგანიზაციაში დასაქმებულთა და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებზე ინსპექტირების წესსა და პროცედურებს.

დადგენილებით განისაზღვრა ინსპექტირების პრინციპები, სახეები, გასატარებელი ღონისძიებები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის გამოცემის წესები და ინსპექტირებას დაქვემდებარებული ობიექტის უფლებამოსილებები.

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-658-625-2014 მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ავტომანქანის, როგორც მოძრავი ნივთის, შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.

საქმის მასალების მიხედვით, ფიზიკურ პირებს შორის გაფორმდა ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შემდეგაც შემძენმა ავტომანქანა გაასხვისა სხვა პირზე. ამ უკანასკნელს სსიპ შემოსავლების სამსახურმა ავტომანქანა ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ სატრანსპორტო საშუალება ირიცხებოდა თავდაპირველი გამყიდველის სახელზე, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიმართ დავალიანება გააჩნდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით რეგულირებულია მოძრავი ნივთის შეძენის წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს, საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.“

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს, კერძოდ, კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძველები, რომლებიც ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას: „რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.“

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სატრანსპორტო საშუალების, როგორც მოძრავი ნივთის, მიმართ საკუთრების უფლების წარმოშობისთვის საკმარისად მიიჩნევა ახალი მესაკუთრისათვის მისი ფაქტობრივად გადაცემა და უფლების ნამდვილობა დამოკიდებული არ უნდა იყოს ამა თუ იმ სარეგისტრაციო ორგანოში ასახულ მონაცემებზე.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.